



კამპიუსი

სკოლის დამფუძნებელი

Handwritten signature

ალ. ჯავახიშვილი

განხილულია პედაგოგიური
საბჭოს სხდომაზე

2022 სასწ. წლის 18 იანვარი
ოქმი N 2

**შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონი“
SWOT ანალიზი (სასკოლო გარემოს ანალიზი)
2021-2022 სასწავლო წელი**

ძლიერი მხარეები

1. ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
2. მცირეკონტინგენტის კლასები
3. მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრები
4. სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხი
5. განხორციელებული სააბიტურო პროგრამა და უმაღლეს სასწავლებლებში კურსდამთავრებულთა ჩარიცხვის მაღალი მაჩვენებელი (100 %)
6. სტანდარტსწევით საგანმანათლო მომსახურების შესაძლებლობა
7. საკუთარი აზრის შეუფერხებლად გამოხატვის უფლება
8. თანატოლებთან და უფროსებთან პოზიტიური ურთიერთობები
9. უსაფრთხოების წესების, სისუფთავისა და პანდემიის საპრევენციო რეგულაციების დაცულობის მაღალი ხარისხი
10. ფსიქოლოგის მაღალი პროფესიონალიზმი და მზადყოფნა კვალიფიციური დახმარების აღმოსაჩენად
11. სკოლას გააჩნია მხატვრული და სპეციალური ლიტერატურით მდიდარი და კეთილმოწყობილი სასკოლო ბიბლიოთეკა.

სუსტი მხარეები

1. ყველა საკლასო ოთახი არ არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით
2. სკოლის მართვაში მოსწავლეთა აქტიური ჩართვა, არ არის მოსწავლეთა კომიტეტი
3. გასაუმჯობესებელია სპორტული დარბაზის აღჭურვილობა
4. აღსადგენია სპორტული გუნდები. მცირეა ფიზიკური აქტივობები და შეჯიბრებები.

შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონი“

5. პანდემიის პირობებში შეზღუდულია მასობრივი ღონისძიებების ჩატარება. რის გამოც არ ხდება ფართომასშტაბიანი სასკოლო ღონისძიებების, ოლიმპიადების, შეჯიბრებების ჩატარება

შესაძლებლობები:

სკოლა განვითარებისა და წარმატების პერსპექტივას ხედავს:

- სწავლების ხარისხის მუდმივ განვითარებაზე ზრუნვაში
- პედაგოგების მუდმივ პროფესიულ განვითარებაში
- სასკოლო თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებასა და გამრავალფეროვნებაში, სასკოლო პროექტების განხორციელებაში
- მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სიახლეების დანერგვაში
- სასწავლო რესურსების განახლებასა და განვითარებაში
- ფიზიკური და კულტურული შესაძლებლობების უკეთ გამოყენებაში (პანდემიის რეგულაციების ფონზე)
- სკოლის ჩართვა საერთაშორისო პროგრამებში

საფრთხეები:

- სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის გამო საფრთხე ექმნება სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტის სტაბილურობას და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილი ყველა ღონისძიებების შესრულებას.
- ქვეყანაში (და მსოფლიოში) გავრცელებული COVID პანდემიის პირობებში, სკოლის მოსწავლეებში მასობრივი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების შეფერხება.
- COVID პანდემიის პირობებში, ერთიანი თუ წერტილოვანი იზოლაციის გამო ხანგრძლივი ონლაინ სწავლების პირობებში მოსწავლეთა ცოდნის დონის კლება და ფსიქოლოგიური პრობლემების გახშირება.
- ზემოაღნიშნული პრობლემების გამო მასწავლებლებს არა აქვთ საშუალება იზრუნონ კარიერული წინსვლისათვის.
- კოვიდრეგულაციებისადმი საზოგადოების არასწორი დამოკიდებულების გამო, ხშირად საფრთხე ექმნება სკოლის თანამშრომლებისა და მოსწავლეების ჯანმრთელობას. ხშირია ოჯახებიდან ვირუსის გავრცელების შემთხვევები.
- დისტანციური სწავლებისას ინტერნეტქსელში ჩართულ პირთა დიდი რაოდენობის გამო ხშირია ინტერნეტკავშირის შეფერხებები.

შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონი“